ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3722357001**
თარიღი:**23/12/2022**

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და აღნიშნავს:

1, პროექტები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციას და წყალმომარაგების ქსელის მოწყობას.

2, წარმოდგენილი პროექტების ძირითადი წილი (15 პროექტი, ჯამური ღირებულებით 27 294 069 ლარი) მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, როგორც ქალაქის, ასევე სოფლების ტერიტორიაზე. (ქალაქის და სოფლების როგორც ცენტრალური და შიდა გზები, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზები)

3, პროექტები (3 პროექტი) ასევე ითავლისწინებს წყალმომარაგების ქსელის მოწყობას, სოფელ ოზურგეთში, სოფელ ნაღობილევში და დაბა ნასაკირალში, ჯამური თანხით 5467501,60 ლარი.

აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის. განახლდება და მოწესრიგდება ქალაქის და სოფლების ქუჩები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის იერსახეს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მოეწყობა წყალმომარაგების ქსელი 3 სოფელში, რომლითაც ისარგებლებს 3000-ზე მეტი ადამიანი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისია მხარს უჭერს აღნიშნული პროექტების მოწონების საკითხს.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი